

ურთიერთგაგების მემორანდუმი

დადებული

საქართველოს მთავრობას,

სს “ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპრეატორს”,

სს „GGEDC“- ს

და

შპს “ენერჯიას”

შორის

თბილისი
2012 წელი

წარმოდგენილი ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში „მემორანდუმი“) დადებულია 2012 წლის 13 ივლისს („ძალაში შესვლის თარიღი“)

ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობა (შემდგომში „მთავრობა“), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ალექსანდრე ხეთაგურის მიერ, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 13 ივნისის #1155 განკარგულების საფუძველზე,

მეორეს მხრივ, სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“), წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ირინა მილორაგას სახით,

მესამეს მხრივ, სს „GGEDC“, (შემდგომში GGEDC) წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ ფულარიას სახით,

და

მეოთხეს მხრივ, შპს „ენერჯია“ (შემდგომში `კომპანია~), რომლის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. ნაკვეთი 4/11, წარმოდგენილი დირექტორის გაიოზ უგრელიძის სახით,

1. პრეამბულა

1.1. ყვარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ შილდაში, მდინარე ჩელთზე „GGEDC“ ახორციელებდა 5 მვტ სიმძლავრის „შილდას“ ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტს. შესაბამისად, ამ მემორანდუმის გაფორმების მომენტისათვის მის მიერ შესრულებულია რიგი სამუშაოები.

1.2. „GGEDC“-ს და კომპანიას შორის მიღწეული იქნა შეთანხმება აღნიშნული პროექტის კომპანიის მიერ განხორციელების შესახებ.

1. მიზანი

ურთიერთგაგების მემორანდუმის მიზანი არის მხარეთა თანამშრომლობა, რათა ჩამოყალიბდეს მათ შორის შეთანხმების მთავარი საფუძვლები და დადგინდეს მხარეებს შორის საქმიანი კავშირის პირობები.

2. ურთიერთგაგების მემორანდუმის მოქმედების სფერო

2.1. წინამდებარე მემორანდუმით, მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანია უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებას, რომელიც მოიცავს შილდას- ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, ოპერირებას და ფლობას (ექსპლუატაციას) (შემდგომში „პროექტი“) საქართველოს ტერიტორიაზე 2.2. პუნქტში მითითებული პარამეტრების დაცვით.

2.2. “შილდას” ჰიდროელექტროსადგურის (შემდგომში „ობიექტი“) პარამეტრებია:

ა) ადგილმდებარეობა - ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელი შილდა, მდინარე ჩელთი;

ბ) სიმძლავრე - 5 მგვტ;

გ) მდინარის ზედა და ქვედა ნიშნულები - 997.78მ - 760.00 მ

დ) წლიური გამომუშავების ოდენობა - 30.23 მილიონი კვტ/სთ

ე) მშენებლობის დასრულების ვადა - 12.08.2013 წელი ვ) ინვესტიციის მოცულობა - 5 500 000 აშშ დოლარი.

2.3. კომპანია უფლებამოსილია მთავრობასთან წინასწარი შეთანხმებით წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული მისი უფლებები და/ან ვალდებულებები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს.

3. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

3.1. პროექტის განხორციელების მიზნით, წინამდებარე მემორანდუმით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კომპანია:

ა) უზრუნველყოფს საჭირო ინვესტიციების განხორციელებას, სავარაუდოდ ჯამში 5 500 000 აშშ დოლარის ოდენობით;

ბ) უზრუნველყოფს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, ოპერირებას და ფლობას (ექსპლუატაციას) ამ მემორანდუმით განსაზღვრული ვადებისა და პირობების სრული დაცვით, მათ შორის, საამისოდ საჭირო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ლიცენზიებისა და ნებართვების მოპოვებას;

გ) პერიოდულად – ყოველკვარტალურად – წარუდგენს მთავრობას სრულ ინფორმაციას პროექტის მიმდინარეობის შესახებ;

3.2. კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ პროექტის განხორციელებას იგი უზრუნველყოფს ობიექტისათვის განსაზღვრული ტექნიკური, ეკონომიკური, ფინანსური, იურიდიული და სხვა პირობების სრული დაცვით.

3.3. ქვეყნის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ ნოემბერში, დეკემბერში და იანვარში ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაცია (ელექტროენერჯის ბალანსის შესაბამისად) განხორციელდება მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად რაც აისახება შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

3.4. კომპანია ვალდებულია წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში, ობიექტის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაცია განახორციელოს ესკო-ზე წინასწარ გაფორმებული, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით და ამ პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, რის თაობაზეც კომპანია ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, ხოლო შემდგომ თითოეული ენერგეტიკული წლის (კალენდარული წელი 1 სექტემბრიდან მომდევნო წლის 31 აგვისტოს ჩათვლით) დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე, წერილობითი განაცხადით აცნობებს ესკოს შესაბამისი ენერგეტიკული წლის განმავლობაში, ობიექტის მიერ გამოიმუშავებული სრული ელექტროენერჯის ესკოზე გასაყიდ მოცულობას, შესაბამისი პერიოდების მითითებით. ამასთან, ესკო იღებს ვალდებულებას, აღნიშნული 10 წლის განმავლობაში შეისყიდოს ობიექტის მიერ გამოიმუშავებული და ამ პუნქტის შესაბამისად კომპანიის მიერ წინასწარ გაცხადებული ელექტროენერჯის რაოდენობა, ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. ესკოს-ს მიერ ამ პუნქტით და ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი ელექტროენერჯის ფასი თითოეული წლის ოქტომბრიდან მარტის თვის ჩათვლით განისაზღვრება 6,5 აშშ ცენტის ოდენობით, ხოლო აპრილიდან სექტემბრის თვის ჩათვლით 5 აშშ ცენტის ოდენობით. წინამდებარე 3.4. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებაზე არ ვრცელდება ამ მემორანდუმის 5.2 პუნქტის მოქმედება.

3.4.1. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ობიექტის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის გაყიდვას არ მოახდენს ესკო-ზე, იგი ვალდებულია გადაუხადოს ესკოს 0,01 აშშ დოლარი 1 კვტ/სთ-ზე, ელექტროენერჯის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც გამოიმუშავებული იქნა ობიექტის მიერ და არ იქნა გაყიდული ესკო-ზე. იგივე წესი ვრცელდება იმ შემთხვევაშიც, თუ ობიექტი, კომპანიის ბრალეული ქმედების შედეგად, ვერ შეძლებს ელექტროენერჯის გამოიმუშავებას და ესკოსათვის მიწოდებას ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

3.4.2. კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საქართველოს მთავრობის და ესკოს წერილობითი შეტყობინების მეშვეობით უარი განაცხადოს წინამდებარე 3.4. პუნქტით გათვალისწინებულ მის ვალდებულებებზე, რის შემდეგაც კომპანიასა და ესკოს შორის გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულება და შესაბამისად, კომპანიისა და ესკოს ქვემოთ მოცემული ვალდებულებები სრულად და სამუდამოდ ითვლება გაუქმებულად:

i. კომპანიის ვალდებულება, ობიექტის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაცია განახორციელოს ესკო-ზე წინამდებარე 3.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობებით და წინასწარ გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით;

ii. კომპანიის ვალდებულება, იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის გაყიდვას არ მოახდენს ესკო-ზე, გადაუხადოს ესკოს 0,01 აშშ დოლარი 1 კვტ/სთ-ზე, ელექტროენერჯის იმ რაოდენობის მიხედვით, რომელიც გამომუშავებული იქნა ობიექტის მიერ და არ იქნა გაყიდული ესკო-ზე;

iii. კომპანიის ვალდებულება გადაუხადოს ესკოს 0,01 აშშ დოლარი 1 კვტ/სთ-ზე იმ შემთხვევაში, თუ ობიექტი, კომპანიის ბრალეული ქმედების შედეგად, ვერ შეძლებს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ესკოსათვის მიწოდებას ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით;

iv. ესკოს ვალდებულება, ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 10 წლის განმავლობაში შეისყიდოს ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯია ამ მემორანდუმით და ელექტროენერჯის გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

3.4.3. კომპანიის მიერ 3.4.2. პუნქტის შესაბამისად უფლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, 3.3. პუნქტში აღნიშნული კომპანიის ვალდებულება კვლავ ძალაში იქნება და მითითებული 10 წლიანი პერიოდის დასრულებამდე თითოეული წლის ზამთრის პერიოდში, კერძოდ ნოემბერში, დეკემბერში და იანვარში, ობიექტის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის სრული ოდენობის რეალიზაცია (ელექტროენერჯის ბალანსის შესაბამისად) განხორციელდება მხოლოდ საქართველოს შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად, ნებისმიერ მყიდველზე, ხოლო წლის სხვა დანარჩენ პერიოდში კომპანია თავისუფალი იქნება ელექტროენერჯის მყიდველის არჩევაში როგორც ადგილობრივ ბაზარზე, აგრეთვე ექსპორტზე.

3.5. GGEDC უზრუნველყოფს საჭირო ქმედებების განხორციელებას რათა მის ხელთ არსებული ქონება, რაც დაკავშირებულია პროექტის განხორციელებასთან, გადაეცეს კომპანიას.

3.6. კომპანია იღებს ვალდებულებას წინამდებარე მემორანდუმის დადებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში, წინამდებარე მემორანდუმის დადებამდე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების და 3.5. პუნქტის საფუძველზე მისთვის გადაცემული ქონების ღირებულების ანაზღაურების მიზნით „GGEDC“-ს გადაუხადოს 282 964 (ორას ოთხმოცდაორი ათას ცხრაას სამოცდაოთხი) ლარი.

3.7. საქართველოს მთავრობა:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჭირო ქმედებების განხორციელებას 3.5. პუნქტის თანახმად, პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული, „GGEDC“-ს კუთვნილი ქონების კომპანიისათვის გადასაცემად;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველანაირად შეუწყობს ხელს კომპანიას, პროექტის განხორციელებაში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს სათანადო ნებართვების და ლიცენზიების მიღებასთან.

4. პროექტის ხარჯები

პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

5. მემორანდუმის მოქმედება და მისი ვადაზე ადრე შეწყვეტა

5.1. ურთიერთგაგების მემორანდუმში ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 15 წლის განმავლობაში.

5.2. კომპანიის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მთავრობა უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს ამ მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტა.

5.3. წინამდებარე მემორანდუმის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში კომპანიისათვის პროექტის განხორციელების მიზნით სახელმწიფოს ან/და „GGEDC“-ს მიერ გადაცემული ქონება დაუბრუნდება თავდაპირველ მესაკუთრეს.

6. ცვლილებების და დამატებების შეტანა

ურთიერთგაგების მემორანდუმში მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შესაძლებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა. თუ აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის ნებისმიერი პირობა აღმოჩნდება გამოუყენებადი ან იურიდიულად ძალადაკარგული, ამ შემთხვევაში სხვა პირობები კვლავ ძალაში იქნება.

7. შეტყობინებები

მემორანდუმის ფარგლებში მხარეთა მიერ გაგზავნილი კორესპონდენციები შედგენილ უნდა იქნეს წერილობით და გაიგზავნოს ფოსტის, კურიერის ან ფაქსის (ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით) მეშვეობით. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღებისთანავე.

8. გამოყენებული სამართალი და დავების განხილვა

8.1. მემორანდუმში დადებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. ასევე, ყველა იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომელიც ამ მემორანდუმით პირდაპირ განსაზღვრული არ არის, გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა..

8.2. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე მემორანდუმის პირობებს განუხრელად დაიცავენ, ხოლო დავის შემთხვევაში ეცდებიან საკითხი მოაგვარონ მოლაპარაკების გზით. შეთანხმების


მიუღწევლობის შემთხვევაში ამ მემორანდუმიდან გამომდინარე ყველა დავა განსახილველად და გადასაწყვეტად გადაეცემა საქართველოს საერთო სასამართლოებს, რომლებიც დავას განიხილავენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ასლები, მემორანდუმის ენა

მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხ ეგზემპლარად.


ხელმოწერილია:

საქართველოს მთავრობის სახელით
ალექსანდრე ხეთაგური




ხელმოწერილია:

სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“
ირინა მილორაჯა



ხელმოწერილია:

სს „GGEDC“-ს სახელით
ზურაბ ფულარია



ხელმოწერილია:

შპს „ენერჯია“ სახელით
გაიოზ უგრეჭაძე

